№ 135 ივნისი 27, ოთხშაბათი 1890 ივნისი 27, ოთხშაბათი № 135

გაზეთი ღირს

| თვე | მან. კ. | თვე | მან. კ. |
|---|---|---|---|
| 12 | 10 — | 6 | 6 — |
| 11 | 9 50 | 5 | 5 50 |
| 10 | 9 75 | 4 | 4 75 |
| 9 | 8 — | 3 | 3 50 |
| 8 | 7 25 | 2 | 2 75 |
| 7 | 6 50 | 1 | 1 50 |

ცალკე ნომერი—ერთი შაური

# ივერია

გაზეთის დასაკვეთად და კერძო განცხადებათა დასაბეჭდად უნდა მიჰმართონ: თვითონ რედაქციას კუკიაში, ავჭალის ქუჩა, თ. გარანცოვის ძეგლის პირდაპირ, თავ. გრუზინსკის სახლებში. წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების კანცელარიას სათავად-აზნაურო ბანკის სახლებში სასახლის ქუჩაზედ.

ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი რვა კაპეიკი.

1877—1890 სამოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი 1877—1890

## Отъ конторы редакціи

Всѣ объявленія, происходящія извнѣ Кавказской Области, принимаются исключительно въ центральной конторѣ объявленій бывш. Л. Метцль, въ Москвѣ, на Мясницкой, домъ Спиридонова.

„წერა-კითხვის საზოგადოების“ წიგნის მაღაზიას მოუვიდა გასასყიდად

კრებული

**ცდა**

წიგნი II

ფასი 50 კაპ.

(4—4)

## ახალი ამბავი

*** ერნესტო როსისაგან მოგვივიდა გუშინ-წინ, 25 ივნისს, ღამის 11 საათზედ, შემდეგი დეპეშა:

დაირეკა გემზედ ზარი და დადგა ჟამი სამწუხარო განშორებისა, ჟამი მეტად მძიმე, მეტად გულ-საკლავი. ენა მიდუმდება და გამოთხოვება ველარ მომიხერხებია. ვინ იცის, საუკუნოდ გეთხოვებით, თუ კიდევ გნახავთ ოდესმე! მაგრამ არა, ისევ ნახვამდის, ჩემო სასურველო ტფილისის საზოგადოებავ! ნახვამდის, ყველა ჩემო კარგო მეგობრებო, წარმომადგენელნო მწერლობისა და ახალგაზდობისანო! ჩემი უმხურვალესი ნატვრა ის არის, რომ კურთხევა და მადლი უფლისა კვლავ არ მოაკლდეს თქვენს სტუმართ-მოყვარე ქვეყანას, რათა შევიძლო და კვალად ვიხილო უფრო განდიდებული და უფრო გამშვენიერებული!

ერნესტო როსსი“.

*** აგერ მეხუთე დღეა, რაც ჩვენს ქალაქში ქუჩებს აღარა რწყავენ და საშინელი მტვერი სდგას ქუჩებში. მაგრამ მტვერს ვიღა ჩივის, როდესაც ამ სიცხეში მრავალნი უწყლოდ დარჩნენ. საქმე იმაშია, რომ აგერ ოთხი დღეა, რაც იმ სახლებში, სადაც გაყვანილია მილის წყალი, ძლივს ძლობით გაჰყავთ წყალი და ისიც აღვრეული და უსუფთაო. ამის მიზეზი ისა ყოფილა, რომ ავჭალაში გამ[ს]დარა წყლის დიდი მილი და წყალი იმდენი ველარ მოდის ტფილისში, როგორც წინად.

*** ტფილისში სამხრეთისაკენ ერთი დიდი ბრწყინვალე ვარსკვლავი გამოჩენილა, რომელიც ღრუბლებშიაც-კი სჩანს იმ დროს, როდესაც სხვა ვარსკვლავები და მთვარეც-კი იმალებიან ღრუბლებში. ეს ბჭყვრიალა ვარსკვლავი პირველადა სჩანს ცაში და თითქმის განთიადამდის სჩანს იგი. ნასწავლებს ამ ვარსკვლავისათვის „ბეთლემის“ ვარსკვლავი დაურქმევიათ და ამ ჟამად მის შესწავლაში არიან.

*** როგორც ამბობენ, მისი მაღალ ყოვლად უსამღვდელოესობა, საქართველოს ეგზარხოსი პალადი მარიამობის თვის დამდეგამდე დარჩება პეტერბურგში და შემდეგ ისევ ტფილისს დაბრუნდება.

*** დაღესტანისკენ, როგორც ტფილისის პირუტყვთა მფარველ საზოგადოებას აცნობებენ, გაჩენილა საშინელი ჭირი საქონლისა, რომელიც ყოველ დღე დიდ-ძალს საქონელსა ხოცავსო.

*** ამ დღეებში სვანეთისაკენ გაემგზავრა სამეცნიერო განზრახვით ხარკოვის უნივერსიტეტის პროფესორი კრასნოვი ოთხის სტუდენტითურთ.

*** გორის დედათა პროგიმნაზიის სამზრუნველო საბჭო გვთხოვს გამოვაცხადოთ შემდეგი წლიური ანგარიში ამ სასწავლებლისა: შემოსვლია სკოლას მის იმპერატორებითის უმაღლესობისაგან დიდის მთავრინასა და ჰერცოგინია ანასტასია მი-

| | | |
|---|---|---|
| ხეილის ასულისაგან . | 300 | მ. |
| სწავლების ფასი . . . . | 2606 | „ |
| შემწეობა მთავრობისა. . | 1000 | „ |
| შემწეობა გორისა . . . | 1000 | „ |
| გორის კლუბისაგან . . . | 325 | „ |
| გორის სამადლო საზოგადოებისაგან . . . . . . . | 50 | „ |
| ლატარია-ალეგრისაგან, რომელიც გამართულ იქმნა სამზრუნველო საბჭოს წევრის ო. ი. ერისთავისა მიერ და სხვა წვრილი შემოსავალი . . . . . . . | 1586 | „ |
| | სულ 6867 | მან. |

ხარჯი ჰქონია სასწავლებელს:

| | | |
|---|---|---|
| შარშანდელი დეფიციტი . | 72 | „ |
| ჯამაგირი მასწავლებელთათვის . . . . . . . | 4879 | „ |
| ბიბლიოთეკისათვის . . | 119 | „ |
| საკუთრად სკოლის ხარჯი | 521 | „ |
| დანარჩენი წვრილმანი ხარჯი | 256 | „ |
| შეკეთება და დაზღევა სასკოლო სახლისა . . . | 227 | „ |
| მოსამსახურეთათვის . . | 400 | „ |
| | სულ 6474 | მან. |

დარჩა კიდევ 1890 წლისათვის 397 მან

*** ორშაბათს, 25 ივნისს, როგორ შევიტყეთ, რატილის ხორო დუშეთს წასულა მცხეთიდამ და იქ გაუმართავს კონცერტი. საზოგადოება ბლომად დასწრებია კონცერტს და დიდადაც ესიამოვნია ხოროს მიერ თქმულის ქართულის ხმებითა. შემოსავალი ათ თუმანზე მეტი იყოვო. ხორო გუშინ დილით ტფილისს დაბრუნდა დუშეთიდამ და ამ თვის გასულს ეპირება რუსეთს გაემგზავროს. გზა და გზა ხოროს განზრახვა აქვს გაჰმართოს კონცერტები: გორსა, სურამსა, ყვირილას, ქუთაისს, ახალ-სენაკსა და ბათუმს.

*** მეჯვრისხევი: ამ თვის 24 უსანეთას ეკკლესიაში მღვდელმა ზ. გამრეკელმა მართლ-მადიდებელს სარწმუნოებაზედ მონათლა გლეხი, სომეხი სარწმუნოებით, გ. მიროდანაშვილი. ეს გლეხი თითონ მეჯვრისხეველია, ცოლი ქართველი ჰყოლია და შვილებიც, რასაკვირველია. ამიტომ მღვდლის შეგონებითა და ცოლშვილის პატივისცემით მიიღო ქართველთა სარწმუნება. ნათლია მიმრქმელად იყო მეჯვრისხევის მცხოვრებელი გლეხი ივ. ურიგაშვილი.

*** ქართლი: წელს შიდა-ქართლში კარგი მოსავალია პურისა და ქერის, მაგრამ გვალვამ ძალიან დააზარალა სიმინდი, ლობიო, ბოსტნეული და ვენახები. ვენახებს კიდევ არა უშავს-რა, მაგრამ სხვა მოსავალს-კი გამოესალმება ხალხი, თუ ამ დღეებში წვიმა არ გაუჩნდა და ან ქვენა ქარმა თავი არ დაანება.

*** გორი: წელს გორის სასულიერო სემინარიაში ერთმა ქართველმა გაათავა სწავლა, სახელდობრ იოს. ყანჩაველმა. გორის სასულიერო სასწავლებელში ცხრამეტი სწავლობდა, ამათში შვიდი გადაიყვანეს ტფილისის სემინარიის პირველს კლასში: დ. ციცქიშვილი, ალ. არავიაშვილი, მ. ნიკურაძე, ივ. კასრაძე, იოს. ყანჩაველი, ზ. და ალ. ედილაშვილები; რვას კურს შესრულების მოწმობა მიეცემათ და დანარჩენებს-კი მეორედ დაუნიშნეს გამოცდა, რადგანაც ზოგიერთს საგანში ნიშნად ორი მიიღეს. დღემდის ყველას ეძლეოდა მოწმობა, მაგრამ ამ სამასწავლო წლის დასაწყისში გამოვიდა უწმინდესის სინოდის ბრძანება, რომლის ძალით იმათ აღარ მიეცემათ კურს შესრულების მოწმობა, რომელნიც მიიღებენ გამოცდის დროს 2-ს განმეორებითის გამოცდის დროს თუ ვერ გადისწორებენ ცუდს ნიშანს, მაშინ მიეცემათ მოწმობა იმისი, რომ სწავლობდა მეოთხე კლასში და კურსი სწავლისა-კი ვერ შეასრულაო. ამ გვარად დღეიდგან ესპობათ სახსარი ცხოვრებისა ყველა იმათ, ვინც ერთს საგანშიაც არის მიიღებს ცუდს ნიშანსა. რამდენი ვიცით სასულიერო სასწავლებელში სწავლა გათავებულ-

## ფელეტონი

### ეშმაკი

სიცოცხლის ტყუპი ეშმაკი
გაჩენას თანა ჰყვებოდა;
ღამე აქა-იქ დაწრწოდა,
დღისით კლდეშია ჯდებოდა.
ურიცხვი საუკუნეთა
სულ სიბნელეში ატარა;
ბევრი დაღუპა უბრალო,
ბევრისა ცრემლი დაღვარა.
მოსრა მრავალი სამეფო,
ქალაქი რკინის კარითა,
მაგრამ ვერ გაძღა ბედ-კრული,
ამდენის ცოდვა-ბრალითა!
მაინც ჭირი და სიკვდილი,
ბოროტი დაულეველი
იქმნა და იყო იმისა
საქმე და საგონებელი!
ხელი ჩაჰკიდა საქვეყნო
ჭირსა და მწუხარებასა;
მაგრამ, როდესაც სთესავდა,
ვერ ჰგრძნობდა ნეტარებასა.
სულ სიავ-კაცის ჩადენა
არც ჰსურდა, არც მოსწყენია,
სხვის მტერი, თავის ურგები
ღმერთს რატომ გაუჩენია?!
დახშული მისი გონება
ჩასციებოდა ბნელასა;
სხვას რასმე იმის გარეშე
ერიდებოდა ყველასა.
ეს იყო იმის სამეფო,
საცა სულს მოიბრუნებდა.
მხოლოდ როდესაც ღამესა
ხშირი ღრუბლები ჰფარავდა;
ცა ჰწვიმდა, ქარი შხუოდა,
ღვარი ხევ-ხუვსა ჰბზარავდა;
ან ზვავი ლალის მთებისა
ხეს და ქვას ანადგურებდა,
და ბეწვ-აშლილი მდინარე
ქვა-ლოდებს არახუნებდა;
ან როცა ქვესკნელ ძალთაგან
ქვეყანა შეირყეოდა
და ზღუდე მტკიცე, უძრავი
მთა და კლდე დაირღვეოდა:
მაშინ დაგდის ბუნაგი,
მოჰყვის წოწიალს, თრევასა
და ყურს უგდებდის უძრავად
საშინელს ლეწა, მტვრევასა!
ბექი რო მოსქდის, ბევრჯელა
ისაც გადაჰყვის წყალშია!
ჯერ გაქრის, მერე გამოჩნდის,
როცა იჭექის ცაშია!
აჰყვის და დაჰყვის ხევებსა,
მოელის ზღვები და ხმელია;
როცა რიჟ-რაჟმა შამოჰკრის,
კლდეში მოძებნის ხვრელია.
ერთხელ-კი ველარ მოუჩა,
საქმე დაადგა ძნელია.
როგორღაც მოულოდნელად,
საცდა შარა-გზებთანა
დღემ უსწრო, მზე ამოვიდა
და გაანათა ქვეყანა.
გაშრა, გაშეშდა მაცდური,
ხელ-ფეხს ჩაედვა ხუნდები;
იწვოდა, თითქო გულშია
გაუგდეს ცეცხლის შუბები.
იდგა და დიდხან მაგრობდა
ნათლისგან განაწვალები;
ბოლოს, რომ ველარ შეიძლო,
ადგა, დახუჭა თვალები.
სინათლის დაეიწყებასა
ცდილობდა თვალ-მხუჭიარე,
მაგრამ ბნელიდამ ნათელი
მოჩანდა უმშვენიარე!
არა ჩნდა, მაგრამ მოჩანდა,
არ ჰკვლევდა, მაინც ჰხედავდა;
ხელ-ფეხს არავინ უჭერდა,
წასვლას-კი ვერა ჰბედავდა!
ყველა რამ ადგილს ცვლილობდა,
შეჰლაღადებდა ზეცასა,
და ის-კი თავისუფალი
არ იყო თავის ნებასა!
ზოგს სიყვარული შაჰყროდა,
ულეინოდ დაითვრებოდა,
და ის-კი მარტო დ-მარტოკა
იდგა და იტანჯებოდა!
რაღაცა უჩინარი ხმა
თითქო ეძახდა ბუნდადა:
თუმც წყეულს ვერავინ გამჩნევს
ატ-ეზულს გზისა პირადა;
თუმც შენგან მრავალი კვდება
და ბევრიც იკელთებისა*),
მაგრამ თან ესაც-კი ვუწყით,
რომ შენაც გითენდებისა.
ესმოდა, ცოფი უვლიდა,
სწყევდა სიკვდილის შვილებსა;
ბოლოს მძლივ სადმე დაღამდა,
წყალმა გარიყა ფონითა;
ავი და ნასი, ბედ-შავი
შამაიბურა კვამლითა.
ცისა და ქვეყნის მშინჯველი
ის ველარ იყო წყნარადა;
ადგა და ქვესკნელს წავიდა
სისწრაფით, უჩინარადა.
იმას დღეს აქეთ იქ არის,
კარში აღარა ძრებაო;
და ჩვენ-კი დაგვრჩა იმისა
წყევლა და შეჩვენებაო.

1890 წ. ბაჩანა

---

### მეფე ერეკლე

#### ერეკლეს ლაშქრობა და ომები.

(შემდეგი*)

და ამასვე წელსა ივნისის თვეში მოვიდა ძალითა აზატ ხანი და დაუწყო ერევანს რბევა და ოკრება. ვინაჲდგან აზათ ხანსა ამას ეპყრა მიდია (რომელ არს ადრიბეჟანი) და იწოდებოდაცა მპყრობელად სპარსეთისად. ხოლო ამისთვის მოუწერეს მეფესა ირაკლის ერევნელთა: ვინაჲდგან გაძლევთ ხარკთა და ვართ მორჩილებასა ქვეშე თქვენსა, გაქვთ ვალი და თანამდებობა, რათა განგვათავისუფლო ესე ვითარისა მძლავრისა კელისაგან. და სთხოვეს მიშველება. რომლისათვის ინება მეფემან ირაკლი მიშველება ერევნისა. შემოიყარა ჯარები ივნისის თვეში და მიეშველა ერევანს. გარნა ოდეს სცნა მუსა ხანმან, რომელიცა ადგა ერევნის ციხესა მისვლა ირაკლი მეფისა, მასვე წამსა შემოეცალა ციხესა და მიჰრიდა. ხოლო მეფე ირაკლი მივიდა ერევანს და დიდად შეჭირვებულნი უსაზრდელობითა ერევნელნი აავსო სურსათითა, მიუტანა მრავალი საზრდო. თითონ გამობრუნდა ქანაქირს და ყაჰარ-ბულღზედ კარგს ჰავაში დადგა, ძაღლ[ი]ბელად ერევნისა, რომელიცა ჰშორავს ერევანს ვიდრე თორმეტ ვერსამდე, ვითარცა ორი ალაჯი. თუმცა მუსა ხან ერევანს შემოეცალა, გარნა დაუყონებლივ მისწერა წიგნი აზატ ხანს და აცნობა მიდიასა შინა მყოფსა მისვლა ირაკლი მეფისა ერევანს და ყოველი ქმნილი მეფის ირაკლისაგან. ხოლო რა სცნა ესე განძვინებულმა აზატხან შემოიკრიბნა ჯარები ყიზილბაშისა და ავლანის ვიდრე ოცმოცდა ათასამდე ესრეთ, რომელ თვრამეტი ათასი მხოლოდ შუბ[ოს]ანი კაცი ჰყვან-

---

*) იკელთება—შჯავზედ იშლება.

*) იხ. „ივერია“ № 132, 133 და 134.

თაგანი, რომელთაც მიუღიათ თითქმის ყველა საგნებში ნიშანი 2, მაგრამ, რადგან მაინც-და-მაინც მოწმობა მიუღიათ, ადგილს რასმეს ღირსებიან და კაცად ქცეულან.

*** ხიდისთავი: აქ დიდ ძალი ხალხი მოვიდა აგარაკადაო, სწერენ „კავკაზს“: და აქაური მცხოვრებნი აპირობენ მომავალის წლისათვის საგარაკო შენობების აშენებას. აქვე არის ამ ჟამად ერთი საფილოქსერო დასი და ერთიც ქუთაისის სადგილ-მამულო ბანკის მიერ გამოგზავნილი დასიც მილდიუსა და ობის საწამლებლად. ფილოქსერა არსად არ აღმოჩნდა. ობსა და მილდიუს უფასოდ სწამლობენ ღარიბ გლეხების ვენახებში, სხვათა სამაგალითოდ და საჩვენებლად. თუ დანარჩენებმაც მოინდომეს თავიანთის ვენახების წამლობა, წამლის ქირა უნდა გადიხადონ. ერთი წყვილი ქუთაისის დასისა აქედგან მდ. ლიახვზე წავიდა. დანარჩენები წავლენ ახალქალაქსა, კასპსა და სხ.

*** იმავე გაზეთს სწერენ ბრეთიდგან: ჩვენში ძალიან გახშირდა ცხენისა და საქონლის ქურდობა. ამის ერთ-ერთი მიზეზად აქაურ სასოფლო მოხელეების უყურადღებობა უნდა ჩავთვალოთ. 15—16 ამ თთვისას თვით მამასახლისსაც მოჰპარეს ძროხა და ხარი. იმავე ღამეს აქაურის მემამულის კ—ვის წისქვილი გასტეხეს და მთლად გაიტანეს, რაც-კი იქ სიმინდი და ან ხორბალი იყო.

*** ივნისის 25, პოლიციის მეცხრე ნაწილში, ღამის ექვს საათზე, ქოთხუდოვის სახლში, რომელიც აგჭალის ქუჩაზეა, სამსახურს გარეშე მყოფის იაგორ გრიგოლის ძის პრიტულინას სადგურიდგან სპარსეთის ქვეშევრდომმა მამედ-ალი დოდამო-ოღლიმ მოიპარა სხვადა-სხვა სარეცხი 10 მანეთის. ქურდი ნაქურდალითურთ შეიპყრეს, ოქმი შეუდგინეს და სამართალში მისცეს.

*** ყაზახმა დონის საყაზახო ჯარებისამ წერილით გამოაცხადა, რომ ღამით, 25 ივნისს, მივედი „ვაზას“ ბაღის ღობესთან, იქ თავს დამეცნენ ხუთი ავაზაკი და გულიდგან ამაწყვიტეს წმ. გიორგის ჯვარიო. ოთხი გამექცა და აი ეს ერთი ჯვარის კაცის შვილი პეტრე სტურგავა-კი დავიჭირეო. გამოძიება სწარმოებს.

## პირველი სათეატრო წარმოდგენა საქართველოს ძველ დედა-ქალაქში.

კვირას, ოც-და-ოთხს თიბათვეს, მცხეთას, იქაურის ბოქაულის ბ-ნ გუგუშვილისა და ბ-ნ ემელიანოვის თაოსნობით იყო გამართული ქართული წარმოდგენა საქველ-მოქმედო აზრით. ნახევარი შემოსავლისა მიეცემა წინამძღვარიანთ კარის სკოლას და ნახევარიც უნდა თანხად დაიდოს მომავალში ხიდის ასაგებად მდინარე არაგვზე. წარმოდგენისთვის საჭირო ფარდული, თუმცა-კი ბევრის წვალებითა და დაბრკოლებით, მაგრამ მაინც დიდის მოხერხებით მოეწყოთ მცხეთის ტაძრის გალავანში. გალავნის ერთ კუთხეში მიეშენებინათ ორი სახელ-და-ხელო კედელი, სახურავად დაელაგებინათ ხის კოჭები, ზედ დაეყარათ ბორდოხი და გადაეფარებინათ ბრეზენტითა. ამ ქოხის გვარ და საკვირველ თეატრში, რომელშიაც ქარი თავისუფლად დასეირნობდა, ასე გასინჯეთ, ლოჟები და ჰალებიც-კი იყო მშვენივრად და კოპწიად მორთული ხის ფოთლებით. ლოჟების ახლო ჩამწკრივებული იყო საპატიო სტუმართათვის სავარძლები. ასეთი იყო ის სათეატრო დარბაზი, სადაც წარმოადგინეს კვირას სამ მოქმედებიანი პიესა ა. მოჩხუბარიძისა „არსენა“.

წარმოდგენაში მიიღეს მონაწილეობა საგანგებოდ ტფილისიდგან მოწვეულმა ჩვენმა არტისტებმა ქ-ნ გაბუნია-ცაგარლისამ და ბ-ნმა გუნიამ და დანარჩენები ქართულის სცენის მოყვარულნი იყვნენ. წარმოდგენამ, რამდენადაც-კი მოხერხდებოდა ზემო აღწერილ ჯურღმულის მსგავს დარბაზში, კარგად ჩაიარა. ჩვეულებრივ გაბუნია-ცაგარლისამ თავის შნოიანის თამაშობით აღტაცებაში მოიყვანა მაყურებელი საზოგადოება მცხეთისა. ურიგოდ არ შეუსრულებია აგრეთვე არსენას როლი ბ-ნ გუნიას. მაგრამ, გაბუნიას შემდეგ, საზოგადოების ყურადღება მიიქცია მცხეთელის გლეხის ზაქარია გარსევანიშვილის თამაშობამ. ეს კაცი ასრულებდა მოურავის როლს. ზაქარია გარსევანიშვილს ისე თავისუფლად ეჭირა თავი სცენაზედ, ისე ლამაზად ასრულებდა როლს, ისე მკაფიოდ ამბობდა თითოეულს სიტყვას, რომ გეგონებოდათ, დიდის ხნის ნამყოფია სცენაზეო; მისმა ნიჭიერმა თამაშობამ სწორედ აღტაცებაში მოიყვანა მაყურებლები და ტაშის კვრითაც დააჯილდოვეს ახალგაზდა გლეხი ზაქარია. ურიგოდ არ შეასრულა იგ. ემელიანოვმაც ოჰანეზას როლი. ყოველი მისი სიტყვა და ფრაზა ხარხარსა და სიცილს იწვევდა მაყურებელ საზოგადოებაში. ერთის სიტყვით, ისე მოეწონა და ისიამოვნა საზოგადოებამ წარმოდგენით, რომ ტაშის კვრას და ბრავოს ძახილს დასასრული აღარა ჰქონდა.

წარმოდგენის შემდეგ გამოჩნდა სცენაზე რატილის ხორო ახალ ქართულ ტანისამოსით და სთქვა ქართული ხმები. სწორედ დიდის მადლობის ღირსია ბ-ნი რატილი, ეს დაუღალავი მუშაკი ჩვენის ხელოვნებისა. ბ-ნს რატილს არა ჰშურს არც შრომა, არც გარჯა ხოროს რიგიანად გაწვრთნისათვის. ეს ჩვენთვის ასე გულ-მტკივნეული კაცი უსასყიდლოდ იღვწის და მუდამ მზად არის აღმოუჩინოს დახმარება საქველ-მოქმედოდ დაწყებულს საქმეს. ხორომ შეასრულა ათამდის ქართული ხმა და აღტაცებაში მოიყვანა საზოგადოება. ბრავოსა და ბისის ძახილს ბოლო არა ჰქონდა. რატილისავე ხოროსტებმა მშვენივრად იმღერეს „არსენაში“ გლეხურად ჩაბმულებმა: „გაულესოთ, ძმებო, ნამგალი“... რომელიც განმეორებულ იქმნა საზოგადოების თხოვნისამებრ.

ხელოვნურად წაიკითხა მეორე ჩვენმა ხალისით აღსავსე სცენის მოყვარულმა ბ-ნ ნ. ერისთავმა „დიმიტრი თავდადებული“, ნაწყვეტი აკაკის „თორნიკე ერისთავისა“ და იმერული სცენა.

დასასრულ გაიმართა ლეკური, რომელიც ღირსეულად იქმნა შესრულებული მცხეთელ ყმაწვილ ქალებისა და კაცების მიერ. ერთის სიტყვით, საღამომ ისე მხიარულად ჩაიარა, რომ ვგონებთ, დიდხანს დარჩეთ მცხეთელებს მოსაგონებლად. შემოსავალიც, თუ არა ვსცდებით, თხუთმეტ თუმნამდის იქნება. ამ წარმოდგენამ დაამტკიცა, რომ ჩვენ სოფლელ ხალხს არ ეუცხოვება წარმოდგენები და დიდის სიამოვნებითაც ილის მის სანახავად. ამისათვის ურიგოს არ იზამენ დღევანდელი წარმოდგენის მეთაურნი, მართონ ხოლმე შემდეგაც წარმოდგენები, შეაგროვონ ცოტაოდენი თანხა, ააგონ რიგიანი შენობა და წარმოდგენებისთვის ამოარჩიონ ხოლმე უფრო შესაფერი პიესები. უეჭველია ჩვენი დრამატურგები მიაქცევენ ყურადღებას ამ ხალხის მოთხოვნილებას და ეცდებიან აჩუქონ ჩვენს სცენას პიესები ხალხის ცხოვრების შესახებ და გლეხ-კაცობისათვის ადვილად გასაგები. დიდის მადლობის ღირსია ბ-ნი გუგუშვილი, რომელმაც ამოდენა შრომა და ხარჯი გასწია წარმოდგენის გასამართად და სამადლო საქმეც შეეწია და სოფელსაც სიამოვნება მისცა.

ა. ფრონელი

## ნარკვევი

(ჟურნალ-გაზეთებიდამ)

ჩვენს მკითხველებს, რასაკვირველია, მოეხსენებათ, რა საშინელს მდგომარეობაში არიან ოსმალეთის სომეხნი და რამდენს მწუხარებას იტანენ არამც თუ მარტო ოსმალეთის მკვიდრთაგან, არამედ ადმინისტრაციისაგანაც-კი... „L'Armenia“-სა და „La Haïsdan“-ში დიდძალი მეტად მჭევრმეტყველი ამბავია მოყვანილი, რომლითაც აშკარად მტკიცდება, რომ კანონიერად არ არის დაცული ოსმალეთის სომხებისა არც თავისუფლება, არც ქონება და არც სიცოცხლე... ერთის სიტყვით, სომხები ოსმალეთის მიერ ბოლგარებზედ ნაკლებ არ არიან დატანჯულნი... ამ ორს პაწია ერს შორის მხოლოდ ის განსხვავებაა, რომ ისტორიულ გარემოებათა გამო ბოლგარიას საერთა შორისო მნიშვნელობა აქვს, სომხეთს-კი არა. ამიტომ ბოლგარიას პირველშივე დიდი ყურადღება მიაქციეს ევროპის დიდთა სახელმწიფოთა და, სხვათა შორის, რუსეთმაც, სომხეთს-კი აქამდის ასეთი ბედნიერება არა ჰღირსებია. რაღა თქმა უნდა, თითონ სომეხნიც არიან ამ მხრით დამნაშავენი, რადგან არა სცდილობენ თავის თავად, თუმცა სწორედ ბავშვობა იქნება, ოსმალეთის მთავრობისაგან რომ მოელოდნენ სიკეთეს რასმე.

თუმცა საერთა შორისო გარდაწყვეტილება მეტად ნათლად არის დაწერილიო, ამბობს გაზ. „Русскія Вѣдомости“, მაინც ეს მთავრობა არა სცდილობს სომხთა თავისუფლებისა და მშვიდობიან ცხოვრების უზრუნველ-ყოფას. დიდნი სახელმწიფონი თავ-თავიანთ საქმეს უნდებიან, დავიწყებიათ შორეული სომხეთი და ამ ქვეყნის უნუგეშო მდგომარეობა ერთა შორის კამათსა და უსიამოვნებას ვერ გამოიწვევს. ეს საქმე ყველაზედ მეტად ინგლისსა და ჩვენს სამშობლოს შეეხება. ხოლო ვიდრემდე სახელმწიფოს მართვა ლორდ სალისბერის ექნება, ვიდრე ამ ქვეყნის პოლიტიკას მეთაურად კონსერვატორთა დასი ეყოლება, მანამდე არავითარი იმედი არ უნდა ვიქონიოთ და დარწმუნებულნი უნდა ვიყვნეთ, რომ ინგლისი სომხთა სასარგებლოდ ხელსაც არ გასძრავს. ბერლინის ტრაქტატის სამართლიანი და კაცთ-მოყვარე გარდაწყვეტილება რომ განხორციელდეს, ვიდრე ინგლისს ხეირი არაფერი ექნება. ეს კიდევ არაფერი: ლორდ სალისბერის კაბინეტისათვის ეხლა არაფრად ხელ-საყრელია, რომ ოსმალეთის მთავრობასთან უსიამოვ-

---

და თოფიანის ჯარს გარდაისად და ჰქონდა თორმეტი ზარბაზანი და ორასი ზამბურაკი. რომელიცა უგრძნეულად მოვიდა და გარნიზიზედ ჩამოხდა. რომელ ესე გარნიზი ჰმოვრავს ქანაქარს ოცითა ვერსითა. საღამოზედ კაცი მოვიდა მეფეს ირაკლისთან აზატხან დიდის ჯარით მოვიდა და გარნიზიზედ ჩამოხდაო. მაშინ მეფემან ირაკლი მოუწოდა ქართლელთა და კახთა და რჩევა შეექნათ. ქართლელთა და კახთა გამობრუნება ამჯობინეს უფროსთ-ერთითა გარნა მეფემ ირაკლი არა ინება გამობრუნება და ბრძანა: იცოდეთ, მე აზატხანის შეუბმელი არ დავსდგები, ამაღამ რომ გავიქცეთ, ხვალ გზაზედ მოგვეწევიან და უსახურად სიკვდილს ნამუსიანად სიკვდილი ჰსჯობსო. ეს ყველამ იცით, რომ სიკვდილის შვილები ვართ და ჩვენს გვარსა და სახელსა ნუ მოვაყივნებთო. ამაზედ რამოდენიმე თავადნი, ჩინებულნი გვამნი, ეთანხმნენ მეფეს ირაკლის და დაამტკიცეს ომი პირდაპირ მძლავრისა.

მეორეს დღეს აღრიცხა მეფემ მკედრობა თვისი, რომელიც იყო სამი ათასი; და ამ რიცხვსა შინა იყო თათარი ხუთასი და ავადმყოფი ხუთასი. ხოლო ესე ხუთასნი ავადმყოფნი და ბარგის კაცნი დაშთნენ ურდოთა შინა.

წარვიდა ორი ათასის კაცითა აზატხანისა შესაბმელად. ცოტა რომ წარვლეს, იქიდამ გამოსჩნდა აზატხანის ჯარები და დასტები. მაშინ გარდახტა მეფე ირაკლი და დაემხო მიწასა და ღმერთსა შეევედრა. აღდგა, გამობრუნდა და უთხრა მკედრობათა თვისთა: ჩემო ძმანო და შვილნო! თქვენ ჩემის გაძლიერებისათვის და ჩემი გულისთვის იხოცებით. ღმერთთან თქვენი დიდი მოვალე ვარ და დღეს რაც მე გითხრათ, ის დამიჯერეთ და სისხლსა თქვენსა მე მივინდობ. მაშინ ყოველთა მკედრობათა ერთობით ნება ჰსცეს და მოახსენეს: „მეფეო და დიდებაო ჩვენო! სისხლი ჩვენი თქვენთვის შემოგვიწირავს და ბრძანებასა თქვენსა ვემორჩილებით და ყოველსავე ბრძანებასა თქვენსა აღვასრულებთო“. რადგან ესეოდენი ერთგულება და სიმკნე მკედრობათა თვისთა იხილა, მაშინ უბრძანა: სანამდინ მე ცხენზე არ შევჯდე, თქვენ ნურავინ ცხენზედ ნუ შესჯდებითო და ვინემდის ჩემი თოფი არ გავარდეს, მანამდისინ თოფს ნურავინ გაავარდებთო. მაშინ ქართლელთა და კახელთა ერთობით აღუთქვეს ბრძანებულისა მის აღსრულება. ხოლო ხუთასნი იგი თანამყოფნი თათარნი ირაკლი მეფისანი შესხდნენ ცხენსა და განეშორნენ ქართველთა ჯარსა, გავიდნენ ცალ-მხარეს და გაკეთდნენ ერთ დასტად. გარნა დაადგრა ერთი ერევნელი თათარი აირუმლეს სულთანი მეფეს ირაკლისთანა სახელით ალავერდი.

მხედველმან მეფემან თვისის ჯარის სიმცირისაგან ფრიად მხურვალედ თაყვანი სცა ჯვარსა ქრისტესსა ცრემლით და ყოველნი სპანი თვისნი ათაყვანნა ჯვარსა. მაშინ მოვიდა თათარიცა იგი სულტანი (ალავერდი) და ჰრქვა ჯვარსა ქრისტესსა მეტყველმან ესრეთ: „უკეთუ შენ შორის შეძლება რამ არის, დღეს გამოჩნდებაო“ და დაადგრა მეფეს ირაკლისთანა.

მაშინ წარუძღვა მეფე ირაკლი ათასს ხუთასსა კაცსა დაქვეითებულსა წყნარად და სადაცა უფრო დიდი დასტა იყო აზატხანისა, იმას მიჰმართა მოვიდა განრისხებული აზატხან და თავისი ჯარები გარს შემოახვია და ოთხსავე კუთხეს ესოდენ ახლო მოიწივნენ, რომ შუბი აღარ გაიმართებოდა და ჰლამოდენ იგინი ერთობით ცოცხლივ შეპყრობასა ქართველთასა. მაშინ მოახსენა ერთმან ხანმან ვინმე აზატხანს: „დასტური მიბოძე, რათა წარვიდე და მეფე ირაკლი ცოცხლივ შეპყრობილი მოგართვაო“. მანცა ნება ჰსცა. და დიახ სწრაფით, ცხენ მალით მოვიდა; რომელსა საბრძოლველად იქმნდა შუბი კელთა და კმა ჰყო ამაყმან: ჴანი ირაკლი-ხან [1]) (რომელ არს ქართულად! სად არის ირაკლი მეფეო!). მაშინ მაუკდა მეფე ირაკლი მკვირცხლად და შესძახა: მე ვარ ირაკლი მეფეო. და შეძახებისავე თანა მისცა თოფსა ცეცხლი. გავარდა თოფი მეფისა და მოჰხვდა მას ხანსა გულსა და გარდმოვარდა ცხენით და დაეცა წინ მეფის ირაკლისა. ოდეს იხილეს ესე ვითარი სიმკნე ქართველთა მეფის ირაკლისაგან, განძლიერდენ ესენიცა და ერთობით მისცეს ცეცხლი თოფთა თვისთა ყოველთა. რაც მახლობელად მოსულნი ყიზილბაშნი და ავღანნი იყვნენ, ერთიან ჩამოცვივდნენ და დაეცნენ მიწათა ზედა. მაშინ აღჯდა მეფე ირაკლი ცხენსა თვისსა და აღუზახნა სპათა თვისთა აღმხედრდება. აღმხედრდენ სპანი, დაიკრეს კრმლებს კელი, მიუტივეს და მყის თანამისვლისავე აოტნეს ყიზილბაშ-ავღანნი. და მას დღესა თანა ჰყვებოდა ყოველგან აირუმლე სულტანი ალავერდი, რომელმანცა ითხოვა სასწაული ჯვარისაგან და იყო მჴედრცა. წარვიდა სირცხვილეულად მეოტი აზატხან. და გამარჯვებასა ამას შინა დარჩა მეფეს ირაკლის თოთხმეტი ზარბაზანი, ორასი ზამბურაკი თავისის ასის აქლემით, დროშა მრავალი და ორი ათას ხუთასი კარავი. ტყვისა და საქონლის რიცხვი არ ეგებოდა [2]). იგი ალავერდი სულტანი იტყოდა წინაშე ჯვრისა: ესე საქმე კაცობრივის ძალისაგან შეუძლებელი იყო, მაგრამ ამ ჯვარის ძალმა ჰყო და ესრედ სთქვა: ხაჩ სანა ყურბან ოლიმ (რომელ არს: ჯვარო, შენთვის შევიწირეო). თუმცა ესოდენ ჰსწამა და ჰსთქვა გარნა არა ნათელს-იღო.

წარმოვიდნენ მეფენი და მოვიდნენ ტფილისს გამარჯვებულნი. ხოლო ესე ძლევა იქმნა ივლისის თთვეში.

წელსა 1753, ქართულსა უმა, იანვარში, მოსწერა წიგნები განჯის ხანმა

[1]) ამის მაგიერ დაბეჭდილში სწერია: ჰამამან ჰანიერ ირაკლი ხან (ქართ. ცხოვ. გვ. 485).

[2]) პაპუნა: აზატ-ხანს ჰყვანდა თვრამეტი ათასი კაცი, თოფხანა ხელმწიფური, ზამბურაკნი მრავალნი, აქლემთა კიდებულნი. ქართველობას მეხუთედი ჯარი არა ჰყვანდათ. ერეკლე ყრისბულაღს დადგა. აზატ-ხანის ჯარი ერეკლეს ალყად შემოერტყა. მიუტანეს იერიში და შიგ ჩვენს ჯარში შებით კაცნი ჩამოყარეს. ერეკლემ შეუტია. დაამარცხა ისე, რომ ყათლამი უყო. ტყვეთა რიცხვი აურაცხელი იყო. აგრეთვე რიცხვი ალაფისა, თოფ-ზარბაზნისა. ბუტკოვი: აზატ-ხანის ჯარი იყო 30,000. ერეკლემ მცირე ჯარით დაამარცხა აზატ-ხანი და წარიქცია.

ნება და გამათი ჩამოჯვარდეს. ერთად-ერთი იმედი, მაშასადამე, ის-ღაა, რომ იქნება ამ ცოტა ხანში გლადსტონის დასმა დაამარცხოს სალისბერისა და ამას გარდა იქნება რუსეთის მთავრობამ გაუწიოს სომხეთს სარჩლი და ქომაგი. „L'Armenia“-ცა და „La Haisdan“-იც ერთ გვარის სურვილით მიჰმართავენ რუსეთს. სომხეთა პატრიოტებს იმედი აქვთ, რომ რუსეთის მთავრობა, რომელმაც იმდენი იმეცადინა ოსმალეთის მძიმე უღლისაგან ქრისტიანეთა ერთა განსათავისუფლებლად, სომხეთა ერსაც მიჰხედავს და ამ ერსაც შემძლებას მისცემს ცივილიზაციის გზაზედ თავისუფლად სიარულისას. რაღა თქმა უნდა, რუსეთი მარტო დიპლომატიურად უნდა ჩაერიოს ამ საქმეში და ბერლინის ტრაქტატის აღსრულება მოითხოვოს. ასეთი ჩარევა რუსეთისა სომხეთა ბევრს ტანჯვასა და გაჭირვებას აცილებსო.

* *

ამერიკელი ქალები ძალიან სწუხან და ლუდზედ აკრაჭუნებენ თურმე კბილებს. რა დაუშავათ ლუდმაო? იკითხავთ. როგორ თუ რა, წარმოიდგინეთ

იმათ შენიშნეს თურმე, რომ ხელ-ფეხი, რომელთაც აქამდე მეტად პაწია და კოხტა ჰქონდათ, თანდათან დაუსხვილდათ, დაუდიდროვდათ და დაუტლანქავდათ. ამ მოვლენის მიზეზად ერთის გაზეთის თანამშრომელს ის მიაჩნია, რომ ამერიკელ ქალთა შორის ლუდის სმა ძალიან ვრცელდებაო. იგი დაბეჯითებით ამბობს, რომ ლუდის მსმარებელ ქალებს უფრო დიდრონი ხელ-ფეხი ეზრდებათ, ვიდრე ღვინისა და წყლის მსმარებელთაო. ლუდი არამც თუ ასუქებს ადამიანს ხელ-ფეხსაც-კი ტლანქად უხდის და უდუხჭირებსო.

რაღა თქმა უნდა, თუ ეს აზრი გაზეთის თანამშრომელისა მეცნიერულად გამოირკვა და მართალი აღმოჩნდა, ჩვენი ქალებიც სულ აღარ მიეკარებიან ამ დაწყევლილს სასმელს. ან რა სასიამოვნოა, თქვენს ღრხენას, რომ მშვენიერს არსებას, პაწია ხელებისა და ფეხების მაგიერ, უშველებელი, სოფლის დიდ პურის ოდენა, პრტყელი ხელ-ფეხი ჰქონდეს.

## წვრილი ამბები

ჩვენ სოფლელებსა ჰგონიათ, მიწის ბაყაყი თუ მოკალით, წვიმა მოვაო. ამ ცრუ-მორწმუნეობის გამოისობით საწყალი ბაყაყი ხშირად გადურჩება ხოლმე სიკვდილს, მაგრამ გოლვაში აღბად ჰკლენ ამ სასარგებლო ცხოველს, ეგებ ცა გასწყრეს და წვიმა გვეღირსოსო. ცრუ-მორწმუნეობას რომ თავი დავანებოთ, მეცნიერება გვაუწყებს, რომ მიწის ბაყაყი არასოდეს არ არის მოსაკლავი, არც წვიმიან დღეებში და არც გოლვაში. სხვათა შორის აი კიდევ ერთი მაგალითი იმისი, რომ ბაყაყი სასარგებლო ცხოველია. ამ დღეებში ადესაში გაუჭრიათ რამდენიმე მიწის ბაყაყი და უნახავთ, რომ კუჭში ყელთამდე სავსე ჰქონოდათ სხვა-და-სხვა მცენარეთათვის მავნებელ მწერებითა და ჭიებით. პურისა და სხვა სასარგებლო მცენარეობისა-კი ნასახიც არა ჩანდათ-რა თურმე მუცელში.

— ალჟირში ერთი უბედურება მოხდარა. ორი იქაური მცხოვრები ერთად მიდიოდნენ გზაში და მეგობრულ ბაასში ატარებდნენ დროს. მაგრამ მალე მოუშალათ მეგობრობა. ერთმა მათგანმა გზაში თვალი მოჰკრა ბანკის ბილეთს, მაშინვე გაქანა, ხელი დაავლო და ჯიბეში ჩაიდო. ამხანაგი სთხოვდა, ნახევარი მე უნდა მიზიაროო, მაგრამ მპოვნელი არ სთანხმდებოდა. ამიტომ საშინელი ჩხუბი მოუხდათ. მოჩხუბრებს ნაცნობებიც წამოეშველნენ და ახლა ისინიც ჩაერივნენ ჩხუბში, და გზაზედ ნამდვილი ომი გაიმართა. ამ ჩხუბში ხუთი კაცი იქმნა მოკლული და იმათში ბანკის ბილეთის მპოვნელიც.

— საფრანგეთში დაბრუნდნენ ამ დღეებში აფრიკიდგან სამი ვაჭარი საფრანგეთისა, რომელნიც სასტიკ დაგომელებს ხელში ტყვედ ჩავარდნოდნენ. ისინი ცხოვრობდნენ დაგომელთა ქვეყნის მოსაზღვრე ქალაქში და მიწვეულ იყვნენ დაგომელ მთავრობისაგან, ვითომ რაღაც საქმის გამო მოსალაპარაკებლად. მაგრამ რაკი ხელში ჩაიგდეს საბრალო ფრანგები, მათს წვალებას საზღვარი აღარ ჰქონდა. ჯერ ჯოხებით დაუწყეს ცემა, მერე საშინელ საპყრობილეში ჩასვეს და ჯაჭვებით დააბეს. მაგრამ არც აქ აძლევდნენ მოსვენებას, წამ-და-უწუმ თავს დასჩხაოდნენ, ნაკუწ-ნაკუწად აგკეპავთ და თქვენ ხორცს ქორებს შევაჭმევთო. ბოლოს ამოიყვანეს სიბნელიდგან და რაც თავზე ბალანი ჰქონდათ, სულ ერთიან დააწიწკნეს, ასე რომ ერთი ბეწვიც-კი აღარ შეარჩინეს. შემდეგ ამისა წაიყვანეს ქალაქში და ატარეს ქუჩა-ქუჩა. აქაც კიდევ ქალაქის ხალხი შემოეხვია, ადევნენ უკან ყიჟინით და მუჯლუგუნებსა სცემდნენ. ბოლოს, როგორც იყო, პოლიტიკურ არეულობის გამო, დაგომეის მფლობელმა ინება იმათი განთავისუფლება, და საბრალო ფრანგები, გაცრეცილნი, გაფუქცნილნი და ერთობ შეშინებულნი გაიქცნენ ისევ თავის უწინდელს სამშობლოში.

დაგომეის მფლობელმა მალე შეინანა ტყვეების განთავისუფლება და ხელ-მეორედ გაუგზავნა იმავე ფრანგებს დაპატიჟების წერილი, მაგრამ, აბა, რა საკვირველია, რომ იმათ ასეთი მოწყალება არაფრად ესიამოვნათ და უყურადღებოდ დასტოვეს.

— ამ დღეებში სან-სალვადორის სახელმწიფოში ჩვეულებრივი ამერიკული არეულობა მოხდა. წვეულობის დროს გენერალი მარსიალი მივარდა პრეზიდენტის სასახლეში, შეიჭრა პირდაპირ დარბაზში და გამოაცხადა, მენდენესი გადაყენებულიაო. უქეიფობისა გამო მენდენესი იმ დროს აქ არ იყო; თავის სამუშაო ოთახში იმყოფებოდა. მარსიალი შევიდა მენდენესთან და აურზაური ასტეხა, მაგრამ გენერალ მარტინესმა რევოლვერი ესროლა და ძირს დასცა მარსიალი. ცოტა ხნის შემდეგ მენდენესიც უეცრივ გარდაიცვალა. ამბობენ, საწამლავი დალიაო. ამ ხანში ესეტის ჯარებიც მოვიდნენ და ბრძოლა შექმნათ. 25 კაცი მოკვდა. შემდეგ ახალი მართებლობა შესდგა, მაგრამ, როგორც უკანასკნელ ცნობებიდგანა სჩანს, ესეტას შერჩენია ძალად წართმეული ტახტი; მისი ადგილი სინიორ გვარალ-როლას დაუჭერია.

ერთს წერილში ევროპის აღმოსავლეთის საქმეების შესახებ ლონდონის „Economist“-ს დიდი ყურადღება მიუქცევია იმ ამბავისთვის, რომ გერმანიის იმპერატორს პეტერბურგში წასვლის დროს კანცლერი კაპრივი თან უნდა ახლდესო. ჩვეულებრივ კანცლერი თან მხოლოდ მაშინ დასდევს იმპერატორსა, როდესაც დიდად საყურადღებო და სადიპლომატო საგნის შესახებ ჩამოვარდება ხოლმე ლაპარაკი. ამ გვარ საგნად ამ ჟამად გერმანიის იმპერატორისთვის ის ჩაითვლება, რომ მშვიდობიანობის დროს რამე შეღავათი მოიცეს ამ ფრიად სამძიმო შეიარაღებიდგანაო, რადგანაც ამ უკანასკნელ დროსაც 10%-ის მომატება კიდევ ითხოვეს ჯარის სახარჯოდაო. გაზ. „Times“-ს ძალიან საძნელოდ მიაჩნია რუსეთისა და გერმანიის შეთანხმება ამ საქმეში. ძნელად მისახვედრია, რას მოითხოვს რუსეთი ამ გვარის სამსახურისათვისო? ოსმალეთის განაწილებასა? მაგრამ ეს რომ ასე მოხდეს, გერაფერი საქმე მოუვა ავსტრია-ვენგრიას, რადგანაც სლავიანები უფრო მეტის სითამამით ჩაერევიან სახელმწიფო საქმეებშიო. ბოლგარიის პროტექტორატობას? მაგრამ ეს ხომ უფრო არ უნდა რუსეთსაო. დარჩა მხოლოდ ის, რომ ოსმალეთის სომხეთის დაპყრობა დაუთმოს რუსეთსაო. საეჭვოა-კი, რომ ასეთ მცირე საღირალს დასჯერდეს რუსეთი. მაშ ეს საგანი ჯერ ისევ გამოურკვეველად უნდა ჩაითვალოსო.

გეგმა (პროექტი)

## წესდება

(დასასრული *)

§ 91. ამორჩევა გამგეობის თავ-მჯდომარისა, გამგეობის წევრებისა, რევიზორებისა, ხაზინადრისა და მდივნისა ყოველთვის უნდა დამტკიცდეს უმეტესის ხმის სიმრავლით.

*) იხ. „ივერია“ №№ 125, 126, 127, 128 129 131 132 133 და 124.

§ 92. ყოველი საქმე, გასაშინჯავი საერთო კრებაში, უნდა იქმნას წარდგენილი გამგეობის საშუალებით და არა სხვა რომელისამე გზით, ამისათვის რევიზორებმა და აქციონერთა, რომელთაცა სურთ მისცენ, რომელიმე წინადადება კრებასა, უნდა წარუდგინონ თავისი აზრი გამგეობასა, ვიდრე კრებას მოიწვევდნენ. თუ რომ წინა-დადება არის ხელ მოწერილი იმდენის აქციონერებისაგან, რომელთაც აქვსთ ასი ან მეტი აქცია, და ამასთან თუ წინადადება თავის დროზედ იქმნა წარდგენილი, მაშინ გამგეობამ უეჭველად უნდა წარუდგინოს კრებასა თავისის დასკვნით. თუ კრება მოწვეულია, მაშინ ამისთანა წინა-დადება უნდა მოხსენდეს შემდგომს კრებასა.

§ 93. კანონიერად საქმის საწარმოებლად კრება პირველსავე სხდომაში ამოირჩევს კენჭის ჩამოტარებით კრების თავ-მჯდომარესა მცირედის ხმის უმეტესობით. აღეკრძალებათ ამორჩევა ისეთის პირისა: ა) რომელიც კრებაში არ იმყოფება, ბ) რომელსაც კრებაში არა აქვს (§ 4) ხმა და გ) რომელსაც უჭირავს რომელიმე თანამდებობა გამგეობაში და კანტორებში.

§ 94. ყოველი საქმე უნდა გადასწყდეს კენჭის ჩამოტარებით, საიდუმლოდ და არა სიტყვიერად, უკენჭოდ. როდესაც ამ ნაირად გადასწყდება საქმე, მაშინ შესდგება ოქმი, რომელსაც მოაწერენ ხელსა კრებისა და გამგეობის თავ-მჯდომარენი, წევრნი, რევიზორები, მდივანი და სამი აქ დამსწრენი აქციონერნი, რომელთაც ყველაზე მეტი აქციები წარმოადგინეს. უკენჭოთ გადაწყვეტილი საქმე, რაც უნდა მცირედი იყვეს, და არჩევანი შეირაცხება უკანონოდ.

[1]) დავების გარჩევა, პასუხის გება და მოსვობა აქციონერთა საზოგადოების მოქმედებისა.

§ 95. ყოველი დავა საზოგადო საქმის შესახებ: ა) აქციონერთა და მისგან ამორჩეულს პირთ შორის და ბ) აქციონერთა და სხვა

---

შუშის ხანმა და ყარაბაღის ხანმან (დაბეჭდილში სწერია ყარადაღის ხანი, ნამდვილად-კი უნდა იყოს ყარაბაღის ხანი), მიიწვიეს და აღუთქვეს მეფეს თეიმურაზს და მეფეს ირაკლის, რათა ინებონ მეფეთა მისვლა ნუხის ხანს აჯი-ჩალაბზედ. და ესენიცა იახლნენ შემწედ თვისისა ჯარებითა. ამისთვის ინებეს მეფეთაცა წაბრძანება და ჯარები შემოიყარეს: წაბრძანდნენ მეფენი და განჯას ჩაბრძანდნენ. აქ ზემოხსენებულნი ხანნი შემოეყარნენ თვისითა ჯარებითა და შემოჰფიცეს ერთგულებასა ზედა. გარნა არა დაადგნენ ფიცსა ზედა. დაჰხსნივათ ჩვეულებამან სიმუხთლისამან, ვითარცა ჰქმნეს ქრისა ომსა ზედა, ეგრეცა აქედამ იდუმალ დაუწყეს წიგნების წერა ნუხის ხანს აჯი-ჩალაბს და დაიბარეს: „შენ გამოდი შენის ჯარებით, როდესაც შენ გამოხვალ, ჩვენ შიგ ულალატებთო“. ეს ამბავი მეფეებმან შეიტყეს და ამათი მოწერილი წიგნებიც კელთ ჩაიყარეს. ვინაიდგან ერწმუნებოდნენ მეფენი მათგან ამ გვარსა დრკუობსა, ვითარმედ არა აქვნდათ ჭეშმარიტი ერთგულებაა, ამისთვის განიზრახეს მიგება მაგიერისა. ზემოხსენებულნი ხანნი ერთობით დაიჭირეს და ამ ხანების დაჭერაზედ ამათი ჯარებიც აირია და თვით მეფეთაცა თვისნი ჯარები აშლილნი და დაუწყობელნი ჰყვანდნენ. ამ შემთხვევასა უკვე მივიდა ნუხის ხანი აჯი-ჩალაბი[3]) შირვანისა და დაღისტნის ჯარებით და ესრეთ არეულთა ჯართა შემოება. იქმნა უბედურება და დამარცხდენ მეფენი და მრავალნი მოისრნენ ქართველნი ბრძოლასა შინა და უმრავლესნი შამშადინელელთა გასწყვიტეს გზაზედ. ხოლო მეფენი მოვიდნენ ტფილისს ლტოლვილნი თთვესა მარტსა.

[3]) ბუტკოვი: აჯიჩალაბი შირვანისა და ლეკის ჯარით შემოება მეფეებსა და დაამარცხა. შემდეგ მალე დროში აჯიჩალაბი მოკვდა. პაპუნა: მეფენი წარვიდნენ ჯარით. განჯაში დადგნენ. მოერთვნენ ხანები და პატივი სცეს. ალაზანი ადიდდა და აჯიჩალაბზე გამხედრება მოუგვიანდათ. ხანებმა უღალატეს. საიდუმლოდ აჯიჩალაბს მისწერეს: მოდი და მოგეშველებითო. მიწერილი წერილი მეფეებმა ხელში ჩაიგდეს. ხანები დაატყვევეს. აჯიჩალაბი მოვიდა და მოულოდნელად ქართველთ დაეცა. იძლივენ ქართველნი და ივლტნენ.

ამავე წელსა, მაისის თთვეში შემოიყარა ჯარები აჯი-ჩალაბის შვილმა ალაქშიმ, გამოვიდა განჯასა შაქი-შირვანის ჯარით და აქ შემოეყარნენ ყარაბაღისა და განჯის ხანები ჯარით, მოვიდნენ და ყაზახ-ბორჩალუ აჰყარეს და თითონ ბაიდარში დადგნენ უშიშრად, რადგან ქართველნი ახალნი დამარცხებულნი იყვნენ და დასუსტებულნი. მეფე ირაკლი წაბრძანდა, არაგვის კევს. იქიდამ ჩერქესნი და ოვსნი ჯარათ გამოიყვანა. ეს მთის კაცნიც წამოიყვანა.

სანამდის მეფე ირაკლი იქიდამ გამობრუნდებოდა, მანამდის დაღისტნის ბელადმა ზუბეიდალამ დაღისტნის ბელადები და ჯარები შემოიყარა, მოვიდა ზემო-ქართლში და საქართველოს რბევა დაუწყო. ღვანის გალავანს შემოადგა და აიღო. შიგ მყოფნი მრავალნი სულნი დაატყვევა. აქიდამ წავიდა, თილევას შემოადგა. ამ ჟამზედ მეფე ირაკლი კევიდამ გამობრძანდა ჩერქეზის ჯარით და ეს ამბავი თუშეთს შეიტყო. ამ ჩერქეზის ჯარს წარუძღვანა ჯიმშერ ერისთავი და გივი ამილახორი (გივი უკვე შერიგებული ჰყვანდათ მეფეებს) და იმ ლეკის ჯარზედ გაისტუმრა, თილევს მისაშველებლათ. და თვით მეფე ირაკლი კახეთს წარვიდა ჯარების გამოსაყვანად, ლეკთაც თილევ ვეღარ აიღეს. გამობრუნდნენ. პატარა ლიახვს გამოღმა კარბის სოფელთან რომ მოაწიეს, იმ დროს ეს ჯიმშერ ერისთავი და გივი ამილახორი შემოეყარნენ ჩერქეზის ჯარით, შეუტიეს და ლეკის ჯარი დაამარცხეს, მრავალი ლეკი მოკლეს და ქალაქს მეფე თეიმურაზთან ჩამოვიდნენ[4]). და მეფე ირაკლიც კახეთის ჯარით ჩამოვიდა.

[4]) პაჭუნა: ზუბეიდალა ათას-ხუთასის ცხენოსანი ლეკით გამოვიდა, ქართლში ჩამოდგა. მრავალი ციხეები აიღო. თილვას შემოადგა. ათი დღე გაუმაგრდნენ (ციხელები). მიეშველა ჯიმშერ ერისთავი, ქაიხოსრო ამირაჯიბი ციხეში შეიპარა. დაუშინეს ლეკებს. დაამარცხეს. გამოქცეულ ლეკებმა კულბითის გარემო მოარბიეს. აქ დაეწივნენ მეჯავრნი. მრავალნი ლეკნი ამოსწყვიტეს. დანარჩომნი გამოიქცნენ წალკის, იქიდამ გადავიდნენ ჯავახეთს. აიღეს ფიცარეთის ციხე და ივარ-ჭყვეს საქონელი საყდრისა, წაასხეს ტყვე ფრიადი.

ორნივ მეფენი ქართლ-კახეთის და ჩერქეზის ჯარით ტფილისიდამ გავიდნენ. ესენი რომ სოღანლუღს ჩავიდნენ, ბაიდრიდამ აჯიჩალაბის შვილი ალაქი და სხვა ხანები, ვინც იყვნენ, აიყარნენ, უკან გაბრუნდნენ და ყაზახში მივიდნენ. ეს მეფენი რომ გატეხილ ხიდზედ მივიდნენ, იგი ხანები გემიყაიაზედ იდგნენ. იქიდამ აიყარნენ და, გაქცეულივით, დიახ საჩქაროთ წავიდნენ და შამშადინში თოუზზე მივიდნენ და იქ ორ დასტად გაიყვნენ და დაემალნენ ქართველთა. გარნა იმათი ესრეთ საჩქაროთ წარსვლა რომ იხილეს, ამათაც დასტები მოშალეს და ჩაფაულებრ (ჩაფაული თათრული სიტყვაა, ქართულად ჰქნება) ცხენ-ჭენებით გამოუდგნენ. მეფე ირაკლი იმ წინა ჩაფაულში იმყოფებოდა. და მეფე თეიმურაზ წყნარა დასტა დაწყობილი წავიდა. როდესაც თოუზზე ქართველთ ჯარი თავ-წვრილათ ნახეს მორთული, ისინი დასტა დაწყობილნი მზირად უდგნენ. და რა ამათი ესრეთ თავ წვრილათ მისვლა იხილეს, ფიცხელად შემოუტიეს და მრავალი კაცი მოკლეს. ამაზე მოასწრო ირაკლი მეფემან და დიდი ძლიერი ომი შეექნათ. მისცა ღმერთმან ძლევა მეფეს ირაკლის, გაემარჯვა და მრავალი კაცი მოკლეს და მრავალი ცოცხალი შეიპყრეს[5]). ოც-და-ათი ვერსი მეტი ჰსდიეს, ვიდრე სამის საათის სავალობამდე მიჰყვნენ. დაბრუნდნენ გამარჯვებულნი და და მოვიდნენ ტფილისს.

[5]) პაპუნა: აჯიჩალაბის შვილი ალა ქიში, განჯისა და სხ. ხანი დიდის ჯარით მოვიდნენ სამშვილდოში. ერეკლე წავიდა მთიულეთში. ოსისა და ჩერქეზის ჯარი ფულად დაიქირავა (500 კაცი). მეფენი გატეხილ ხიდზე რომ ჩავიდნენ, ალაქიში აიყარა და უკან გაბრუნდა. ერეკლე გამოეკიდა. ყათლამში მტერს. მტერი იძლია და დაიფანტა [illegible] დამორჩილდნენ ყველანი. მეფეს [illegible] რაცხელი საშოვარი დარჩათ. [illegible] მოღალატეთ დანაშაული [illegible] დღეს [illegible] სხვა ხანი განაწესეს. [illegible] 446—447). ბუტ[illegible] ჯავების გამო ქალაქი [illegible] ლამპრებული იყო (გ. 239). [illegible]

საზოგადოებათა შორის და გ) ალმორჩეულთ პირთა და საზოგადოებაში მოსამსახურეთა და სხვა გარეშე კერძო პირთა შორის უნდა გაიხილოს და გადასწყდეს აქციონერთა კრებაში. თუ აქ შემდგარის განაჩენის კმაყოფილნი დარჩებიან ორივე მხარენი, მაშინ ეს განაჩენი უნდა აღსრულდეს, როგორც მორიგების ქაღალდი: და თუ ამ განაჩენისა უკმაყოფილონი შეიქმნა ვინმე, მაშინ უნდა აწარმოონ საქმე მთავრობისაგან განწესებულს სასამართლოში.

§ 96. აქციონერთა საზოგადოებამ ვინიცობაა, რომ იზარალოს ვაჭრობაში, ამ შემთხვევაში საზოგადოება პასუხს გასცემს მხოლოდ იმ მოძრავისა და უძრავის საზოგადოების საკუთრებიდგან, რომელიცა იმ დროს ექმნება საზოგადოებასა; ამ ნაირად აქციონერთა საზოგადოებას რომ დაატყდეს ვალი, აქციონერს გადახდება მხოლოდ ის ფული, რომელიც აქვს შეტანილი აქციის ყიდვის დროსა ვაჭრობის საწარმოებლად და რაც ამ ფულით იყო მოგებული ვაჭრობის დროს. თუ გინდ ეს ქონება არ აუდგეს ვალსა, აქციონერს იმის მეტი არაფერი არა გადახდება რა და არც თვითონ პირადად არაფერს პასუხის გებაში არ მიეცემა.

§ 97. მოვაჭრე საზოგადოების არსებობის ვადა არ ინიშნება. იმისი მოქმედება მოისპობა მხოლოდ მაშინ, როდესაც აქციონერთა კრება მის მიერ კანონიერად დარდგენილის განაჩენით, ამ წესდებულების თანხმად, დაასკვნის საზოგადოების მოქმედების მოსპობასა.

§ 98. თუ აღმოჩნდა, რომ აღებ მიცემობის ანგარიშით ზარალი ეთანასწორება მთელის თავნის (თანხის) ორ მეხუთედსა ($^2/_5$) და აქციონერები ამ დასაკლისს არ შემოიტანენ, მაშინ საზოგადოების მოქმედება თავის თავად უნდა მოისპოს.

§ 99. საზოგადოების მოქმედების გაუქმების ამბავსა გამგეობა აცნობებს რა ფინანსთა მინისტერსა, შეუდგება მაშინვე მოვალეების დაკმაყოფილების საქმესა, თანხმად 2188 მუხლის X ტომისა იმ წესით, რომელიც არის მიღებული სოვდაგრულს საქმეებში, და თავისს მოქმედების დასკვნას აცნობებს გაზეთებში გამოცხადებით აქციონერებსა.

§ 100. ყოველს შემთხვევაში, რომელიც არ არის ამ წესდებულებაში მოხსენებული, საზოგადოებამ უნდა იხელთმძღვანოს წესი, რომელიც არის დარდგენილი რუსეთში საზოგადოდ სხვა აქციონერთა ამხანაგობისათვის, აგრეთვე საზოგადოდ ჩვენს სახელმწიფოში გამოცემული კანონები, რომელნიც შეეხებიან მოვაჭრე საზოგადოების მოქმედებასა უნდა იყვნენ დაცულნი დაურღვეველად.

მიხეილ ზაალის ძე ყიფიანი
აზნაური დავით იოსების ძე მაჭავარიანი

◆◆

# დეპეშა

26 ივნისი

პეტერბურგი. ოფიციალურის ცნობებიდგან სჩანს, რომ დასავლეთისა და სამხრეთ რუსეთის შემოდგომის ნათესს ამ 1 თიბათვისათვის უფრო კარგი პირი უჩანს, ვიდრე ჩრდილოეთ-აღმოსავლეთისა. ასევეა გაზაფხულის ნათესობაც. ამის გამოისობით ამ შემოდგომაზედ პური ბევრი იქნება გასაყიდი, განსაკუთრებით სამხრეთ პორტებში. მეორეს მხრით მყიდველიც ბევრი ეყოლება პურს, რადგან ცუდი მოსავალი ყოფილა ინდოეთში და აგრეთვე ცუდსავე მოსავალს მოელიან ამერიკაში.

პენზა. სამხრეთ-აღმოსავლეთ რუსეთის სამეურნეო საზოგადოებამ გუშინ გაჰმართა გამოფენა, რომელშიაც შინა მრეწველობის განყოფილებაც არის. გამოფენის საქმე კარკად მიდის.

პარიჟი. სასამართლომ ნიგილისტთა შესახებ უკვე დაადგინა თავისი განაჩენი. ქალები რეინშტეინი და ბრომბერგი ვამართლებულ იქმნენ. ლანცეზენს დაუსწრებელის განაჩენით გადუწყვიტეს ხუთის წლით საპატიმროში დამწყვდევა. დანარჩენ ბრალდებულთ სამის წლით საპატიმრო აქვთ გადაწყვეტილი და ამას გარდა თითოეულმა 200 ფრანკი ჯარიმაც უნდა გადაიხადოს. ამ საქმის გარჩევის დროს არავითარი უსიამოვნება და აურზაური არ მომხდარა.

პეტერბურგის ბირჟა, 22 ივნისი.

| | მყიდველისა. | გამყიდველისა. | გაყიდულისა. |
|---|---|---|---|
| | მან. კ. | მან. კ. | მან. კ. |
| ხუთ-მანეთიანი ოქრო . | — „ | „ | 6 94½ |
| ტამოჟნის კუპონები . . | — „ | „ | 139 |
| მანეთიანი ვერცხლის ფული . . . . | — „ | — „ | 110½ |
| 5% პირველის შინაგანის სესხის მოგები ბილეთი . . . . . | 232¾ | — „ | — „ |
| —მეორისა . . . . | 216 | — „ | — „ |
| —მესამისა . . . | 213½ | — „ | — „ |
| გირავნობის ფურცელნი ტფილისის ბანკისა . | 99½ | — „ | — „ |
| ქუთაისის ბანკისა . . . | 99½ | — „ | — „ |
| ტფილისის საურთიერთო ნდობის საზოგადოებისა . . . . . | 88 „ | — „ | — „ |

## მიმოსვლა ცეცხლის გემებისა შავს ზღვაზე

ბათუმიდამ გადის: ხუთშაბათობით ნაშუადღევის 4 საათზედ მოკლე გზით და ნოვოროსიისკსა და კრიმში შეივლის.

შაბათობით საღამოს 8 საათზე შორის გზით (ყველა ნავთ-სადგურებში შეივლის).

კვირაობით საღამოთი, საზღვარ-გარეთ, სტამბოლამდე მიდის.

ბათუმში მოდის ოდესიდამ: სამშაბათობით შუა-ღამისას შორის გზით.

პარასკევობით დილით ოდესიდამ მოკლეს გზით (კრიმსა და ნოვოროსიისკში შესვლით).

შაბათობით დილით სტამბოლიდამ.

ფოთიდამ ბათუმში მოდის: სამშაბათობით—იმის შემდეგ, როცა სოხუმიდამ მოდის გემი შორის გზით. ხუთშაბათობით—დილის 9 საათზე და მიასწრობს მოკლეს გზით მოსიარულე კავკასიისა და ყირიმის გემსა.

შაბათობით დილის 9 საათზე და მიასწრობს შორის გზით მოსიარულე კავკასია-ყირიმისა და რუმელია-ანატოლისკენ წამსვლელს გემებს.

ბათუმიდამ ფოთს მიდის პარასკევობითა და კვირაობით. რაკი გემი მოვა ფოთიდამ, ბათუმის სააგენტო გადასწყვეტს ხოლმე, როდის წავა უკან.

ამას გარდა ყოველ-კვირა ფოთში მოდიან ოდესიდამ და ყირიმ-კავკასიის ნავთ-სადგურიდან გადაწყვეტილს ვადაზე გემები.


# განცხადებანი

მის. ალ. ნასიძე

გადავიდა ელისაბედის ქუჩაზედ, კუკიაში, ბერიევის სახლებში, № 100. იყვანს კულანდებულად მოწაფეთ მოსამზადებლად საშუალო და საქალაქო სასწავლებლების პირველ კლასისთვის. (15—3)

„წერა-კითხვის საზოგადოების" წიგნის მაღაზიას მოუვიდა მესამე და უკანასკნელი ნაწილი:

ქართული-რუსული

## ლექსიკონი

დ. ჩუბინაშვილისა

ფასი 2 მან.

რუსული ლექსიკონი, ე. ი. სამივე ნაწილი ერთად ღირს 8 მან.

„წერა-კითხვის" წიგნის მაღაზიამ მიიღო

ჟურნალ „ნობათი"-ს

ყველა ნომერი, გარდა სანიმუშოსი, რომელიც სრულებით აღარ მოიპოვება გასასყიდად. ყველა ნომერი ერთად, რიცხვით ათი წიგნი, ზედ დამატებით ცალკე წიგნად დაბეჭდილი წიგნისა «ლომკაცი»,—სულ თერთმეტი წიგნი ღირს

2 მან.

ვინც ტფილისს გარეშე დაიბარებს, გასაგზავნი ხარჯი მყიდველმა უნდა იკისროს.

გამოვიდა და ისყიდება მხოლოდ „წერა - კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების" წიგნის მაღაზიაში ახალი წიგნი:

ისტორია მართლ-მადიდებელ ეკკლესიისა,

შედგენილი

მოსე ჯანაშვილის-მიერ.

ფასი წიგნისა 40 კაპ.

გამოვიდა და ისყიდება მხოლოდ „წერა-კითხვის საზოგადოების წიგნის მაღაზიაში"

## პატარა კახი

ისტორიული ხუთ-მოქმედებიანი დრამა ლექსად

აკაკისა

ფასი 50 კაპ.

„წერა-კითხვის საზოგადოების"

წიგნის მაღაზიამ

მიიღო გასასყიდად ახალი წიგნები.

| | მან. | კაპ. |
|---|---|---|
| თხზულება რ. ერისთავისა II ნაწილი . . . . | „ | 40 |
| ქიტესა, მოთხრობა ან. ფურცელაძისა . . . . | „ | 15 |
| ბატონყმობა საქართველოში რუსეთთან შეერთებამდის, ისტორიული გამოკვლევა ა. ხახანაშვილისა . . . . . . | „ | 50 |
| დაბადება და აღზრდა ერეკლე ბატონიშვილისა ლეგენდა, ლექსად, ბაჩანასი | „ | 15 |
| კიკოლას ნაამბობი, ისტორიული პოემა აკაკისა . | „ | 20 |
| განკიცხული, მოთხრობა ა. მოჩხუბარიძისა . . . | „ | 60 |
| ძეგლის დება მეფე გიორგი ბრწყინვალესი, იურიდიული მონოგრაფია ნ. ურბნელისა . . . . | „ | 25 |

1890 г. ОТКРЫТА ПОДПИСКА НА ГОДЪ 2-й.

# ЭТНОГРАФИЧЕСКОЕ ОБОЗРѢНІЕ,

издаваемое этнографическимъ отдѣломъ императорскаго общества любителей естествознанія, антропологіи и этнографіи, состоящаго при императорскомъ московскомъ университетѣ,

подъ редакціей секретаря отдѣла Н. А. ЯНЧУКА,

при участіи слѣдующихъ лицъ: проф. *В. Б. Антоновича*, проф. *Д. Н. Анучина*, *В. И. Ашмарина*, проф. *Д. И. Багалѣя*, *Е. В. Барсова*, *П. М. Богаевскаго*, акад. *Ѳ. И. Буслаева*, *М. К. Васильева*, акад. *Александра Н. Веселовскаго*, проф. *Алексѣя Н. Веселовскаго*, *Н. Л. Гондатти*, *А. Н. Грена*, *С. Я. Дерунова*, проф. М. *С. Дринова*, *И. Е. Забѣлина*, *Н. К. Зейдлица*, *А. А. Ивановскаго*, *П. В. Иванова*, А. А. *Кизми*, *В. В. Каллаша*, *В. В. Кандинскаго*, проф. А. *И. Кирпичникова*, М. М. *Ковалевскаго*, проф *Ѳ. Е. Корша*, *Г. И. Куликовскаго*, *Ю. Н.* Мельгунова, проф. *В. Ѳ.* Миллера, *П. Н.* Милюкова, *В. М.* Михайловскаго, проф. А. А. *Потебни*, *А. П. Пыпина*, *Е. Р. Романова*, *В. И. Сизова*, проф. *И. Н. Смирнова*, проф. А. *И. Соболевскаго*, проф. *М. И. Соколова*, *Е. Т. Соловьева*, проф. *Н. Ѳ. Сумцова*, проф. *Н. С. Тихонравова*, *В. К. Трутовскаго*, проф. *Г. А. Халетова*, *А. Н. Харузина*, *Н. Н. Харузина*, *А. С. Хаханова*, *П. В. Шейна*, *Н.* М. *Ядринцева*, *Е. И. Якушкина* и др.

Изданіе посвящено всестороннему изученію быта всѣхъ народностей Россіи, при чемъ ближайшими предметами статей и изслѣдованій будутъ служить слѣдующіе вопросы:

1. Вѣрованія, обычаи, обряды.
2. Народная словестность, языкъ.
3. Народная музыка и др. искусства.
4. Народная медицина.
5. Юридическій бытъ: родовое и сословное устройство, семья, община и т. д.
6. Матеріальный бытъ, преимущественно въ связи съ бытомъ духовнымъ.
7. Историчческая и доисторическая этнографія.
8. Обзоръ жизни и дѣятельности русскихъ этнографовъ.

Кромѣ изслѣдованій по частнымъ вопросамъ, будутъ помѣщаться также статьи общаго методологическаго характера, имѣющія руководящее значеніе.

Обширный **библіографическій отдѣлъ** изданія заключаетъ въ себѣ:

1. Отзывы о новыхъ книгахъ, объ изданіяхъ ученыхъ обществъ, земствъ и статистическихъ комитетовъ, по скольку таковыя касаются вопросовъ этнографіи.
2. Подробный обзоръ по возможности всѣхъ столичныхъ и провинціальныхъ періодическихъ изданій: ежемѣсячныхъ, еженедѣльныхъ, ежедневныхъ и др., съ указаніемъ находящагося въ нихъ этнографическаго матеріала.
3. Обзоръ и указатель иностранныхъ книгъ и изданій, въ особенности касающихся этнографіи Россіи и смежныхъ народностей.

Въ отдѣлѣ **„Смѣси"** сообщаются мелкіе этнографическіе матеріалы.

Наконецъ, въ **„Извѣстіяхъ и Замѣткахъ"** помѣщаются обзоры дѣятельности ученыхъ обществъ и др. учрежденій, свѣдѣнія о музеяхъ, выставкахъ, съѣздахъ, экспедиціяхъ и т. п.

По мѣрѣ возможности бутутъ даваться также **приложенія**: портреты этнографовъ, образцы народной музыки, узоровъ и т. п.

„ЭТНОГРАФИЧЕСКОЕ ОБОЗРѢНІЕ" выходитъ **4**-мя книжками въ годъ (въ 12—15 листовъ каждая) приблизительно въ слѣдующіе сроки: 1-я кн.—въ началѣ марта, 2-я—въ началѣ іюня, 3-я—въ концѣ сентября, 4-я—въ концѣ декабря.

Цѣна годовому изданію безъ перес. **4** р. **50** к., съ перес. **5** р., заграницу **6** р. Отдѣльныя книжки, какъ вновь выходящія, такъ и вышедшія, продаются въ складѣ Общества (Москва, Политехническій Музей) и въ книжныхъ магазинахъ по **1** р. **50** к. съ перес. Учащимся, сельскимъ учителямъ и священникамъ дѣлается уступка **40%**.

Подписка принимается въ канцеляріи Общества (М*осква*, *Политехническій* М*узей*) и въ книжныхъ магазинахъ А. С. Суворина, (Москва и Петерб.), Н. П. Карбасникова, (Моск., Петерб. и Варшава), А. А. Карцева (Москва), Н. И. Мамонтова (Москва) и А. Ланга (Москва). (10—4)




ტფილისის ვისტავკისა




ვერცხლის.




ოქროსი.

# ЗАВОДЪ

## МАСЛЯНЫХЪ КРАСОКЪ

# А. А. ТУТАЕВА

Привимаются **постройки, ремонты** и **окраски домовъ, крышъ, фасадовъ, мостовъ, тумбъ и будокъ** на шоссейныхъ дорогахъ. Имѣются въ продажѣ всевозможныя лито-типографическія, масляныя и сухія **краски, кисти, масла** и проч. по фабричнымъ цѣнамъ. Ручается за добросовѣстное исполненіе работъ и доброкачественность матеріаловъ.

Адресъ: Кузнецкая ул., ниже солдатскаго базара.

ვყიდი ყოველნაირს ლიტო-ტიპოგრაფიის და ზეთით გალესილს და მშრალს კრასკებს, ზეთს, კისტებს და სხ. ვიღებ სახლების აშენებას, შეკეთებას (Ремонтъ) და შეღებვას ხრეშ დაყრილ გზებზე ხიდებისას, ბუდკებისას და ბოძებისას. შემძლიან გავგზავნო კრასკები ყველგან, მოთხოვნილობისამებრ. ქარხანა მაქვს იარმუკაზე, საეკკლესიო დუქნებში.

ა. თუთაევი

24—7


Доз. ценз. Тифлисъ, 26-го Іюня 1890 г. Типо-Литографія К. І. Месхіева и С. А. Полетаева уголъ Баронской и Лорисъ-Мелик. д. бр. Месхіевыхъ რედაქტორ-გამომცემელი ილია ჭავჭავაძე